სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98968829560124

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241679006

რეგისტრაციის თარიღი

20.12.2024 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას **ოცდაოთხი** წლის **ოც დეკემბერს** მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ი.პეტრიწის ქ. #16, მომმართა **შოთა ქუთათელაძემ (დაბ. 12.04.1972 წელს, პირადი # 37001008060, მისამართი: თბილისი მირიან მეფის ქ. N 77 ბ. 36)**_შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი". მან განაცხადა, რომ არის **შპს ,, ჯიდი +"-ის (რეგისტრირებული: 24/10/2018 წელს, ს/ნ 438731990) დირექტორი,** და სურს მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებებს მიანიჭებს **ვახტანგ ჭელიძეს (დაბ. 26.04.1959 წელს, პირადი # 01009001743)** (შემდგომში წოდებული როგორც ,,მინდობილი პირი"). მე შევამოწმე ,,მიმნდობი პირის'' პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ასევე ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. წინამდებარე მინდობილობის ტექსტი წარმოდგენილია მიმნდობი პირის მიერ, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის **წარმომადგენელი შპს ,,ჯიდი +"-ის (რეგისტრირებული: 24/10/2018 წელს, ს/ნ 438731990)** კუთვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა #40, ს/კ 01.10.07.007.141 ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იყოს წარმომადგენელი ქალაქის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, თბილისის მერიის ურბანულ სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, შეათანხმოს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ ცნობები/ მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებებისგან, წარმოადგინოს მიმნდობი პირის ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, ასევე მიიღოს მშენებლობის ნებართვა, აქარმოოს სამშენებლო სამუშაოები და მოახდინოს აშენებული ფართის ექსპლუატაციაში მიღება.

ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი ან/და მისი დუპლიკატი, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცა მიმნდობ პირს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

- **შპს ,, ჯიდი +"-ის (რეგისტრირებული: 24/10/2018 წელს, ს/ნ 438731990) დირექტორი** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე